

**მიხეილ თამარაშვილი – სულხან-საბა ორბელიანის  
ევროპაში ელჩობის პირველი ქართველი მკვლევარი**

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ირან-ოსმალეთის აგრესიის პირობებში, მარტოდ დარჩენილი ქართული სამეფო-სამთავროები ეძებდნენ საიმედო მოკავშირეს, რომელიც დაეხმარებოდა მათ და მისცემდათ ამოსუნთქვის საშუალებას. მძიმე იყო ქართული რეალობა. ერთ მხარეს იყვნენ ირან-ოსმალეთის ორიენტაციის ხალხი, რომელთაც მიაჩნდათ, რომ საქართველოს სამეფო-სამთავროებისათვის უმჯობესი იყო უახლოეს მეზობლებთან მჭიდრო კავშირი, რაც ხანგრძლივ მშვიდობას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მოიტანდა, ქართული სამეფო-სამთავროების მოსახლეობის ნაწილს კი მშველელად ჩრდილოეთში გაძლიერებული რუსეთის სახელმწიფო წარმოედგინათ. გადარჩენის მესამე გზა ევროპაზე გადიოდა და კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასულ ქართველობას, რომის პაპის დახმარებით, ევროპის ქვეყნების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. ამ იმედს კიდევ უფრო ამყარებდა რომის პაპების მიერ საქართველოში წარმოგზავნილი მრავალრიცხოვანი კათოლიკე მისიონერები, რომელნიც ქართველ მეფე-მთავრებს არწმუნებდნენ, კათოლიკური სარწმუნოების მიღების შემთხვევაში ისინი რომის პაპის და ევროპის დიდი ქვეყნების მოკავშირე და საიმედო მეგობრები იქნებოდნენ. ქართულ სამეფო-სამთავროებში ვითარება კიდევ უფრო გართულდა 1633 წლიდან, როდესაც განუწყვეტელ ბრძოლებში დაქანცულ და გამოფიტულ ქართლში ირანის ხელი-სუფლებამ გამაჰმადიანებული ქართველი მმართველი როსტომ ხანი დასვა, რომელმაც, ერთი შეხედვით, მშვიდობა და ეკონომიკური წინსვლა მოიტანა, მაგრამ, როგორც XVIII საუკუნის დიდი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავს: „ხოლო ესე როსტომ იყო მოჰმადიანი და მუნ აღზრდილი, რამეთუ, ოდეს მოვიდა მეფედ... საქმით ხუანჯიანის სოფლის, ფრიად ჭკუიანი, მორჭმულ-მდიდარი; რამეთუ ჰქონდა ყულა-რაღასობა ყენისა, მოურაობა ისპანისა და ნიჭვიდა ყენი ურიცხუსა,

და უხმობდა მამად“ (ქართლის ცხოვრება 1973, 438). სამწუხაროდ, ამ „მშვიდობას“ მოჰყვა ქართველი ერის გადაგვარება, რასაც ასევე დაუფარავად წერს დიდი ისტორიკოსი: „ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუილი, ხორცთ-განსუენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე, მგოსანი, რამეთუ ამათ საქმეთა მოქმედთაგან კიდე არავის სცემდენ პატივსა და მიდრკენ, ვიდრე მღუდელმთავარნიცა და ჰყოფდენ უჯეროთა“ (ქართლის ცხოვრება 1973: 439). მისი პოლიტიკა განაგრძეს სხვა გამაჰმადიანებულმა ქართველმა მმართველებმა. გამონაკლისი იყო გიორგი XI და ვახტანგ VI. ამ უკანასკნელმა სცადა, ევროპის დახმარებით, ქართლის ირანის გავლენისაგან განთავისუფლება. მან ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სულხან საბა ორბელიანი საგანგებო დიპლომატიური მისიით გაგზავნა ევროპაში. სულხან საბა იმყოფებოდა პარიზში, ჟენევაში, სიცილიაში, რომში. იგი შეხვდა რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს კლიმენტი XI-ს (1700-1721), საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ს (1638-1715) და, საქართველოს სახელით, ითხოვა დახმარება ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ საფრანგეთმა საქართველოს ელჩს თავაზიანი უარით უპასუხა, სამაგიეროდ, 1715 წელს ირანის შაჰ ჰუსეინის ელჩ რიზა ბეგს განსაკუთრებული პატივისცემით უმასპინძლეს ვერსალის სასახლეში და მასთან ეკონომიკურად მომგებიანი ხელშეკრულებაც გააფორმეს. ქართველი ელჩის იმედები დაიმსხვრა და სულხან საბა ორბელიანი 1715 წელს დიდი გაჭირვებით კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა და ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. ქართველი დიპლომატის ევროპაში მოგზაურობის ამბავი, თუ არ ჩავთვლით სულხან საბას მიერ დაწერილ დღიურებს – „მოგზაურობა ევროპაში“, XVIII-XIX საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში მკრთალად იყო გაშუქებული. ამ ფაქტს შეიძლება ორი ახსნა ჰქონდეს: 1. სულხან საბა ორბელიანის ევროპული ვიზიტის წარუმატებლობა, რამაც აიძულა ვახტანგ VI ფორმალურად მაინც გამაჰმადიანებულიყო, ასე დაუფლებოდა ქართლის სამეფო ტახტს. 2. იმხნად ქართლის სამეფო კარზე რუსული ორიენტაციის მომხრეებმა გამოიყენეს სულხან საბას კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლა, სამშობლოში დაბრუნებული დაადანაშაულებს სარწმუნოების ღალატში და მრავალი უსიამოვნება მიაყენეს მას.

XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთმა დაიპყრო საქართველო, ოფიციალური რუსული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველოსათვის ერთადერთი სწორი გზა იყო რუსეთთან „ნებაყოფილობითი შეერთება“. ამ დროს რომელიმე ქართველი პოლიტიკური მოღვაწის ევროპულ ორიენტაცი-აზე საუბარი სრულიად მიუღებელი იყო. ამიტომ ქართველი ისტორიკოსების: დავით ბატონიშვილის, პლატონ იოსელიანის ნაშრომებში ამ საკითხებზე საერთოდ არ არის საუბარი. გამონაკლისია ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890). მან 1880 წელს დაბეჭდა პატარა წიგნი „ვახტანგ მეექვსე“, რომელშიც იმხნად არსებული მასალების საფუძველზე მოკლედ აღწერა სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობა. დიმიტრი ბაქრაძე წერს: „სულხან საბა ვახტანგის მინდობილობით გასულა ევროპაში, სადაც 1713 წელს კათოლიკის მღვდელს რიშარს გაჰყოლია და სადაც კათოლიკის აღსარება მიუღია სან ბაზილის მონასტერში და ბერათაც შემდგარა. მას უკან რომით პარიუში მისულა 1714 წლის დამდეგს. აქ მას მიურთმევია კაროლისათვის ვახტანგის პასუხი ლუდოვიკის წერილზე, რომელზედაც ჩვენ ცნობა არ გვაქვს. ვახტანგი თავის წერილში ლუდოვიკოს ულოცავს 1702-1706 წლებში გამარჯვებას გერმანიასა, იტალიასა და ისპანიაში, და ამასთანავე უჩივის საქართველოს მდგომარეობას. სულხან საბა ორჯერ წარმდგარა კაროლთან 1714 წელს... მობრუნებული კონსტანტინოპოლს 1715 წელს, სადაც ის ფრანციის ელჩის – დეზალდურის მფარველობის ქვეშ ერთი წელიწადი დარჩენილა“ (ბაქრაძე 1880, 35). ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე კარგად ხსნის სულხან საბას ევროპაში მოგზაურობის მიზანს და დასძენს: „საბას წერილიდან ფრანციის მინისტრის პონშტენთან ცხადად სჩანს მაშინდელი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაც და ვახტანგის გულისწადილიც. საბა ითხოვს, რომ საფრანგეთის შემწეობით ვახტანგი სპარსეთიდან საქართველოში დაბრუნდეს, თუ დაბრუნდებო, წერს საბა, ქართველი არა თუ დაიმარხავენო ქრისტეს სჯულს, არამედ კათოლიკურ სარწმუნოებას შეუერთდებიანო, თავიანთი მეფის მაგალითით, რომელიც ამისათვის მომზადებულიაო“ (ბაქრაძე 1880, 36). სულხან საბა ასევე არწმუნებდა საფრანგეთის ხელისუფლებას იმაში, რომ ფრანგი ვაჭრების უშიშროება და ხელშეწყობა მეფის მთავარი

საზრუნავი გახდებოა. დიმიტრი ბაქრაძე საერთოდ არ ეხება იტალიაში, ჟენევაში, სიცილიასა და რომში სულხან საბას მოგზაურობას, მის შეხვედრას რომის პაპ კლიმენტი XI- სთან (1700-1721).

სულხან საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის ვრცელი დოკუმენტური მასალა პირველად გამოაქვეყნა ცნობილმა ქართველმა კათოლიკე მეცნიერმა მიხეილ თამარაშვილმა. მეცნიერმა 1902 წელს გამოაქვეყნა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი – „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე“. ეს გამოკვლევა ქართული ისტორიოგრაფიისათვის იყო ნამდვილი სენსაცია. იმ დროს, როდესაც რუსეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ქართველი ხალხის ისტორიის დაკნინებას და მწვანე შუქს იმ ისტორიკოსებს უნთებდა, რომელნიც XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას ამართლებდა საქართველოში, ახალგაზრდა ქართველმა კათოლიკე მღვდელმა და მეცნიერმა ევროპის არქივებში საქართველოს ისტორიაზე დაცული უნიკალური დოკუმენტები შეისწავლა და გამოაქვეყნა. წიგნის შინაარსით და მეცნიერული დონით აღფრთოვანებულ ისტორიკოს მოსე ჯანაშვილს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ დაუბეჭდავს მცირე რეცენზია, რომელშიც ავტორი წერდა: „წიგნს ქართველებისათვის უფრო მეტი, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ მნიშვნელობას გამოხატავს თვით ამ გამოცემის სათაური. ეს მართო კათოლიკობის ისტორია კი არ არის, არამედ საქართველოს შინაგანი ცხოვრების და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიაა, და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი მეორე „ქართლის ცხოვრება“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ქართლის ცხოვრება“ უფრო პოლიტიკური მდგომარეობის ამბებს გვაძლევს და ეს წიგნი კი პოლიტიკურსაც და ეთნოგრაფიულსაც“ (ივერია 1902, N254). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ნაშრომში გამოქვეყნებული უნიკალური დოკუმენტებით ცხადი ხდება, თუ რა დიდი იყო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი პოლიტიკოსების მცდელობა, ევროპის სახელმწიფოების დახმარებით, თავი დაეღწიათ ირან-ოსმალეთის განუწყვეტელი აგრესიისაგან. ქართლის მეფე ვახტანგ VI ის ნდობით აღჭურვილი პირი, ცნობილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე სულხან საბა ორბელიანი 1713-14 წლებში საგანგებო მისიით სტუმრობდა იტალიას და სა-

ფრანგეთს. მიხეილ თამარაშვილმა ევროპის არქივებში მუშაობისას აღმოაჩინა მანამდე ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი დოკუმენტები სულხან საბას ევროპაში მოგზაურობის შესახებ. როგორც ავტორი წერს: „ახლა დროა შევუდგეთ დიდათ განთქმული და ყველასაგან ცნობილი საბა სულხან-ორბელიანის ამბავს. თუ ყველა არა, უმეტესი ნაწილი მაინც შეგვკრიბეთ სხვადასხვა არქივებში მისი და მის შესახები წერილები. რადგან ყველას აქ მოყვანა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მოვიყვანთ იმ წერილებს, რომლებიც უმთავრესი და შესანიშნავია“ (თამარაშვილი 1902, 311). მიხეილ თამარაშვილის დასაბუთებული მტკიცებით, სულხან საბა ორბელიანს კათოლიკური სარწმუნოება მიუღია არა 1714 წელს, არამედ 1687 წელს. თავისი ამ მოსაზრების საბუთად მკვლევარს მოჰყავს საბას 1687 წელს რომის პაპ კლემენტოსისადმი გაგზავნილი წერილი. მიხეილ თამარაშვილის მიერ ვატიკანის არქივში ნაპოვნი სპარსეთში მყოფი ფრანგი მისიონერის – რიშარის საფრანგეთის მინისტრისადმი გაგზავნილი წერილის გამოქვეყნების შემდეგ XX საუკუნის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრდა სულხან საბას შემდეგი დახასიათება: „ამ თავადმა აღზარდა ვახტანგი (იგულისხმება ვახტანგ VI) და მისი სახლობა. ამისათვის ისეთს პატივს სცემენ და ისე უყვართ, როგორც საკუთარი მამა, აგრეთვე მთელ საქართველოსაც მამად მიაჩნია“ (თამარაშვილი 1902, 312). მიხეილ თამარაშვილმა პირველმა გამოაქვეყნა სულხან საბა ორბელიანის 1714 წელს მარსელიდან რომში გაგზავნილი წერილი, რომელშიც იგი წერდა: „ვიცი, რომ თქვენ ვერ მიცნობთ: მე თქვენის სამსახურის ღირსი, სულხან საბა ორბელიანი. წმინდა ბასილის მონაზონთაგანისი წმინდისა თქვენისა მოხსენებას ვიკადრებ... თქვენ მართალის სარწმუნოების გამრავლებას დიად ცდილობთ ჩვენს ქვეყანას-ამისათვის დიდად მადლს გარდავიხდი და თქვენს სიწმინდეს თავყვანსა ვცემ“ (თამარაშვილი 1902, 315). სულხან-საბას მიზანი იყო საფრანგეთის მეფისათვის გადაეცა ვახტანგ VI წერილი, ასევე შეხვედროდა რომის პაპს და დაერწმუნებინა ისინი, რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი მხარდაჭერა, რათა საქართველოში კიდევ უფრო განმტკიცებულიყო კათოლიკეთა პოზიციები. რამდენად რთული იყო სულხან საბას მისია ევროპაში და ვახტანგ მეფის მდგომარეობა ქართლში, კარგად ჩანს მი-

ხეილ თამარაშვილის მიერ მოპოვებულ და გამოქვეყნებულ ვახტანგ მეფის სულხან საბასადმი 1714 წლის 20 თებერვლით დათარიღებულ წერილში, რომელშიც ის აუწყებს, რომ ყველაფერს გააკეთებს ქართლში კათოლიკეთა პირობების გასაუმჯობესებლად, ამავე დროს სინანულით აღნიშნავს: „ვერ ვბედავ ჩემის ხელით ვერაფერს გწერთ, რადგან მეშინია ჩემის ძმის არტილერიის გენერლის იესესი, რომელიც, როგორც მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკი, ისე დამტრიალებს გარს, რათა ჩამთქას, ამას ყველას შეიტყობთ თქვენის ძველის მეგობრის იოსებისაგან, როდესაც ის საფრანგეთს მოვა“ (თამარაშვილი 1902, 317). მიხეილ თამარაშვილი აღწერს სულხან საბას მარსელიდან პარიზში ჩასვლის ამბებს და აქვეყნებს საბას წერილს, საფრანგეთის მინისტრ პონშარტრენისანდმი, რომელშიც იგი აუწყებს პარიზში ჩასვლას და საფრანგეთის მეფისადმი ქართლის მეფის – ვახტანგ VI-ის წერილების გადაცემის სურვილს. მიხეილ თამარაშვილის აზრით, რომის ეკლესიის კარდინალები ძალიან კმაყოფილნი იყვნენ სულხან საბა ორბელიანის საქმიანობით, მისი სურვილით, კათოლიკური სარწმუნოება გაევრცელებინა არა მარტო საქართველოში, არამედ მის მოსაზღვრე პროვინციებშიც და შუამდგომლობდნენ ქართველ ელჩს საფრანგეთის მეფის წინაშე, რათა ეფექტური დახმარება გაეწიათ ვახტანგ VI-ისათვის. რომის პაპის წარმომადგენლები არ დაკმაყოფილდნენ ერთი სარეკომენდაციო წერილით. ამას ადასტურებს მ.თამარაშვილის მიერ აღმოჩენილი და გამოქვეყნებული სხვა წერილიც, რომელიც გაიგზავნა რომიდან პარიზის ნუნციოსთან 1714 წლის 17 აპრილს. წერილში აღნიშნული იყო: „თქვენთან მოვა მამა სულხან საბა ორბელიანი, წმინდა ბაზილის მონაზონი, ნათესავი საქართველოს მეფისა და ძრიელ ერთგული კათოლიკე... ხელმწიფეს უნდა მოსთხოვოს თავისი უძლიერესი მფარველობა ხსენებული საქართველოს მეფისათვის, რომელიც სპარსეთის მეფის წინაშე არის დატყვევებული. რადგან ამ მეფეს ძრიელ მისწრაფება აქვს კათოლიკობისადმი და მისი განთავისუფლება დიდად შეეწევა მის სამთავროში კათოლიკე სარწმუნოების განმტკიცებას და გავრცელებას“ (თამარაშვილი 1902, 319). მიხეილ თამარაშვილის დაკვირვებით, აღმოსავლეთის არცერთი ქვეყნის წარმომადგენლებს რომის პაპისაგან ასეთი ყურადღება და დახმარების სურვილი არ გამოუ-

ჩენია, როგორც ეს საქართველოსთან მიმართებაში მოხდა. თავისი ამ მოსაზრების დასტურად მოჰყავს პაპის – კლემენტე XI-ის საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-სადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც 1714 წლის 13 აპრილით არის დათარიღებული. პაპი საფრანგეთის მეფეს, თავის სულიერ შვილს, წერდა: „ეჭვი არ გვაქვს თქვენი ძლიერი მფარველობის ქვეშ მიიღოთ და თქვენი შემწეობა აღმოუჩინოთ საქართველოს მეფეს, რომელიც ამ ჟამად სპარსეთის მეფის მიერ დატყვევებულია... პაპი რეკომენდაციას უწევდა სულხან საბა ორბელიანს, „ჩვენს საყვარელს სულიერ შვილს, რომელიც ნათესავია საქართველოს მეფისა და რომელიც გადმოგცემთ ამ წერილს... აწ დიდად ვევედრებით თქვენს ხელმწიფებას, რომ ჩვეულებრივის სახიერებით მოუსმინოთ მას და აღმოუჩინოთ ყოველგვარი შემწეობა ხსენებულის მეფის გასანთავისუფლებლად“ (თამარაშვილი 1902, 320). მიხილ თამარაშვილის ცნობით, ამ წერილის მიღებამდე სულხან საბას უკვე ჰქონია ერთი შეხვედრა საფრანგეთის მეფესთან, მაგრამ პაპის სარეკომენდაციო წერილის შემდეგ ასეთი შეხვედრა კვლავ შემდგარა. მიხილ თამარაშვილმა აღმოაჩინა და გამოაქვეყნა სულხან საბას მიერ მომზადებული, საფრანგეთის მეფისათვის გადასაცემი ვრცელი წერილის შინაარსი, რომელიც პატრ რიშარდს უთარგმნია. წერილში დაწვრილებით არის საუბარი ვახტანგ VI-ის მძიმე მდგომარეობაზე, რომელსაც, თუ დროზე არ დაეხმარებიან, გამაჰმადიანება მოელის, ამასთანავე, მეფის სახელით, პირობას დებს, რომ საქართველო არა მარტო თვითონ გადავა კათოლიკურ სარწმუნოებაზე, არამედ მეზობელ პროვინციებსაც გადაიყვანს. ამავე დროს იგი აფრთხილებს საფრანგეთის მეფეს, თუ როგორი მატყუარა არიან სპარსელები და არ ენდოს მათ სიტყვას. სულხან-საბას საფრანგეთის მეფესთან შეხვედრისას საკმაოდ მაღალფარდოვანი დიპლომატიური სიტყვა უთქვამს. „რა დიდი ბედნიერებაა აწ ჩვენთვის განვაცხადოთ, რომ ღირსი გავხდით დავსწრებოდით და გვეხილა ყოველივე ის, რაც სხვებს შორიდან აკვირვებს და აოცებს, ვინაიდან ჩვენის თვალთ ვიხილეთ თქვენს უავგუსტეს ხელმწიფებაში არა მარტო სოლომონის სიბრძნე და დიდება, არამედ დავითის სარწმუნოება და სასოებაც. დიდებულო მეფეო, სწორედ ამ სასოებით არის, რომ თქვენი ხელწიფება შეიქმნა მეფეთა შემწე და სარწმუნოების მფარველი თვით

იმ დაშორებულ ადგილებშიც, როგორც არის ჩვენი ქვეყანა“ (თამარაშვილი 1902, 325). სამწუხაროდ, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-საგან მხოლოდ სიტყვიერი თანაგრძნობა მიიღო. სულხან საბას მოგზაურობისას განსაკუთრებულ დახმარებას უწევდა პატრი რიშარდი. საფრანგეთიდან ქართველი ელჩი ბრუნდება რომში, სადაც 2 თვე გაატარა. მიხეილ თამარაშვილმა მოიპოვა პაპ კლიმენტე XI-ის მიერ ვახტანგ VI-ისადმი გამოგზავნილი წერილი, რომელშიც პაპი გულისტკივილით აღნიშნავდა: „რა ვსცანით თქვენი დატყვევება სპარსეთის მთავრობისაგან, ძრიელ შეგწუხდით, ვინაიდან თქვენი ძლიერი და განუწყვეტელი დახმარება კათოლიკე სარწმუნოებას დიდად შეეწევა. ამიტომ ჩვენც არაფერი დავზოგეთ, ყოველი ღონე ვიღონეთ, რათა გელირსოთ მალე განთავისუფლება და თქვენს სამთავროში მობრუნება“ (თამარაშვილი 1902, 326). მიხეილ თამარაშვილმა ტოსკანის მისიონერების არქივში მიაკვლია სულხან საბას რომში ყოფნის დაწვრილებით ანგარიშს, რომლის თანახმად, ქართველი ელჩი დიდი პატივით მიიღეს კარდინალებმა და პაპმა, მას უამრავი ძვირფასი საჩუქარი და ფული გადასცეს. სულხან საბა ესწრებოდა უცხოელი საპატიო სტუმრებისათვის გამართულ დიდ ნადიმს. ამ ანგარიშში არის სულხან საბას დახასიათება: „ეს 60 წლის არის, მაღალი ტანისა, მხნე და ძრიელის აგებულებისა, მშვენიერი სახე აქვს, რომელიც დიდად უხდება. ბერძნების სარწმუნოებისა იყო, მაგრამ 20 წელიწადზე მეტია, რაც კათოლიკობა მიიღო საქართველოში მყოფი ჩვენი პატრების მეშეობით“ (თამარაშვილი 1902, 328). ქართველი ელჩის იტალიიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნების ისტორია მიხეილ თამარაშვილმა აღადგინა სულხან საბას საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პონშანტანთან გაგზავნილი წერილის საფუძველზე. ასევე საინტერესოა სულხან საბას კონსტანტინოპოლში ყოფნის პერიოდი, როდესაც ოსმალეთის ხელისუფლებას მისთვის პრობლემები შეუქმნია, მაგრამ საფრანგეთის ელჩის მფარველობით მოუხერხებია საქართველოში მშვიდობით დაბრუნება, სადაც უკვე ქართლის მეფე ვახტანგის ძმა იესე ყოფილა, რომელსაც ვახტანგის ოჯახის და მისი მომხრეების შევიწროება დაუწყია, დევნას ვერც სულხან-საბა გადაურჩა. იესე შაჰის დავალებით მოქმედებდა და მისთვის მიუღებელი იყო ვახტანგ VI მცდელობა, ევროპის ქვეყნების დახმარებით, თავი დაეღწია ირანელთა გავლენისათვის.

თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომელიც საქართველოში იყო რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, როდესაც იმპერიული იდეოლოგია ამტკიცებდა, რომ საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა რუსეთზე გადაიოდა, ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო იმ საკითხებზე კვლევა, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა შუა – XVII-XVIII საუკუნეებში ქართველ მეფეთა და პოლიტიკოსთა მცდელობა, ევროპის ქვეყნების დახმარებით თავი დაეღწიათ ირან-ოსმალეთის გავლენისაგან. მიხეილ თამარაშვილი ერთადერთი ქართველი მეცნიერი იყო, რომელმაც იმ პერიოდში მოახერხა დავიწყებული იდეის გაცოცხლება:

1. პირველმა მოიძია და გამოაქვეყნა მასალები რომისა და ვატიკანის არქივებიდან, რომლებიც აღწერდა სულხან-საბას საქმიანობას დასავლეთში — როგორ ცდილობდა ის საქართველოსთვის პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერის მოპოვებას.
2. მ. თამარაშვილმა დეტალურად გაანალიზა სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია რომში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში, მისი მიზნები და მიღწევები. მან ხაზგასმით აღნიშნა საბას როლი როგორც არა მხოლოდ მწერლისა და მოღვაწის, არამედ — როგორც საქართველოს დიპლომატიის მნიშვნელოვანი ფიგურის.
3. მ. თამარაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც წარუდგინა ევროპულ და ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას სულხან-საბას ევროპული მოგზაურობის მნიშვნელობა იმდროინდელი ევროპული პოლიტიკისა და კათოლიკური სამყაროს კონტექსტში.
4. მისი ნაშრომები, რომლებიც მოიცავს საბას კორესპონდენციას და მიმოწერას ევროპელ სახელმწიფო მოღვაწეებთან და სასულიერო პირებთან, დღემდე მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს საგარეო ურთიერთობების ისტორიისთვის.

ქართლის მეფის – ვახტანგ VI – ის ელჩის – სულხან საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შესახებ ბევრი ნაშრომი დაიწერა და მომავალშიც დაიწერება, მაგრამ ამ მხრივ მიხეილ თამარაშვილის ღვაწლი განუზომელია. XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოში იქმნება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, მიმდინარეობდა დისკუსია საქართველოს მომავალზე, სად არის მისი ადგილი – „განახლებულ“

რუსეთში თუ ევროპაში? მიხეილ თამარაშვილმა თავისი ნაშრომებით რუსულ მოკადრებულ წრეში მბრუნავ ქართულ საზოგადოებას სულხან საბას ევროპაში მოგზაურობის ამომწურავი მასალების ჩვენებით შეახსენა, რომ საქართველოს თავისუფლებისა და განვითარების გზა ევროპაშია, რაოდენ სამწუხაროა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის 34-ე წლისთავზე ეს ისტორია კვლავ აქტუალურია.

### გამოყენებული ლიტერატურა

- ბაქრაძე, დიმიტრი. 1880. *ვახტანგ მეექვსე*. გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან. თბილისი: ამბარცუმ ენფიანჯიანცის სტამბა.  
Bakradze, dimit'ri. 1880. Vakht'ang meekvse. Gamotsemuli zakaria ch'ich'inadzisagan. Tbilisi: ambartsum enpianjiansis st'amba.
- თამარაშვილი, მიხეილ. 1902. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფილისი: ელექტრ. საბეჭდი სტამბა ქართ. წიგ. გამ. ამხ.  
Tamarashvili, mikheil. 1902. Ist'oria k'atolik'obisa kartvelta shoris namdvilis sabutebis shemot'anita da ganmart'ebit XIII sauk'unidan vidre XX sauk'unemde. T'pilisii: elekt'r. Sabech'di st'amba kart. Ts'ig. Gam. Amkh.
- *ივერია*. 1902. N254. თბილისი.  
Iveria. 1902. N254. Tbilisi.
- ყაუხჩიშვილი, სიმონ, რედ. 1973. *ქართლის ცხოვრება*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.  
Q'aukhchishvili, simon, red. 1973. Kartlis tskhovreba. Tbilisi: sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba.

### **Mikheil Tamarashvili as the First Georgian Researcher of Sulkhan-Saba Orbeliani's Embassy to Europe**

Sulkhan-Saba Orbeliani played a pivotal role in early eighteenth-century Georgian history, most notably through his diplomatic mission to Europe on behalf of King Vakhtang VI. This mission, aimed at securing European support for Georgia's liberation from Persian control, was long overlooked in Georgian historiography. Mikheil Tamarashvili was the first Georgian scholar to systematically reveal the details of Orbeliani's embassy by thoroughly examining European archival sources. By doing so, Tamarashvili established the embassy's central importance, demonstrating its significance as a foundational example of Georgia's diplomatic engagement with Europe.

The historiographical neglect of Orbeliani's embassy, rooted in nineteenth-century political realities under Russian rule, obscured Georgia's historical orientation toward Europe. At the dawn of the twentieth century, Mikheil Tamarashvili changed this narrative. By reintroducing and rigorously documenting the embassy's historical significance, Tamarashvili provided compelling evidence of Georgia's long-standing European connections, thereby reasserting this link as a central point in Georgian national history.

**Keywords:** *Mikheil Tamarashvili, Sulkhan-Saba Orbeliani, Vakhtang VI, Europe, diplomatic mission*